საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№128 (6354) 23 ოქტომბერი 1990 წელი სამშაბათი ფასი 3 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გთავაზობთ:

პირველი მრავალპარტიული არჩევნების წინ

ხმის მიცემის წესი

ჩვენ გვწერენ

მე-2 გვ.

შვილმა თავად უნდა იპოვოს ადგილი თვისი

პატივისცემა გვმართებს

მე-3 გვ.

უეამჩნიეს მფრინავი თეფშები

მე-4 გვ.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

ჯანსულ ავდიდის ძე ჩარკვიანი

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, პოეტი **ჯანსულ ავდიდის ძე ჩარკვიანი** რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №79 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

ჯანსულ ავდიდის ძე ჩარკვიანი დაიბადა 1931 წელს ცაგერის რაიონის სოფელ სურმუშში. დაამთავრა თბილისის მე-2 ვაჟთა სკოლა და ამის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება. ლექსებს ბავშვობიდანვე წერდა. მისი პირველი წიგნი—„ერთი ღამის სიჩუმეში“ გამოვიდა 1959 წელს. დღემდე გამოცემული აქვს ლექსების და პოემების მრავალი კრებული, მათგან კი უმთავრესია 1981 წელს „მერანის“ მიერ გამოცემული „ერთტომეული“, აგრეთვე „ნაკადულის“ მიერ 1986 წელს გამოცემული რჩეული „მზე თიხაში“.

მისი ლექსები და პოემები თარგმნილი და გამოცემულია საბჭოთა კავშირის თხუთმეტივე რესპუბლიკაში. შეტანილია ასევე—იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში უნგრეთში, პოლონეთში, ბულგარეთში, ჰოლანდიაში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში გამოცემულ პოეტურ ანთოლოგიებში.

წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა ლიტერატურულ სამუშაოზე. იყო ჟურნალების — „ცისკრისა“ და „დილის“ მთავარი რედაქტორი. **უკანასკნელი თხუთმეტი** წელი საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი იყო, ხოლო ამჟამად გამომცემლობა „საქართველოს“ ხელმძღვანელობს.

არის საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, 1985 წელს მიენიჭა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.

მეუღლე—ირმა მიხეილის ასული ჩხეიძე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატია. ვაჟიშვილი—მამუკა პროფესიით ფილოლოგია, ქალიშვილი თამარი კი—თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკათმცოდნეობის კათედრის მეცნიერ-მუშაკი.

დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირმა.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

გელა ისკანდერის ძე ჩარკვიანი



საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი **გელა ისკანდერის ძე ჩარკვიანი** რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №79 საარჩევნო ოლქის საოლქო-საარჩევნო კომისიამ.

გელა ისკანდერის ძე ჩარკვიანი დაიბადა 1954 წელს ცაგერის რაიონის სოფელ სურმუშში. დაამთავრა ლაილაშის საშუალო სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი ეკონომისტ-მათემატიკოსის სპეციალობით.

მუშაობდა ვ. გულისაშვილის სახელობის სამთომეტყევეობის ინსტიტუტში უფროს ლაბორანტად. 1981 წლიდან დღემდე მუშაობს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში მთავარ სპეციალისტად.

არის სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ეკონომიკური კომისიის წევრი, რუსთაველის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე.

უცოლშვილოა.

ცხოვრობს ქ. თბილისში.

დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებამ.

გამოიწერეთ „ლეჩხუმი“

ცუდი დრო დაუდგა პრესას. საკავშირო მთავრობის „მახვილგონივრული“ გადაწყვეტილების შედეგად გაძვირდა ჟურნალ-გაზეთები. ბევრ თქვენგანს წელს ალბათ გაუჭირდება გამოიწეროს რესპუბლიკური გაზეთები. მათ საარაკო ფასი დაედო. ამიტომ გირჩევთ: გამოიწეროთ გაზეთი „ლეჩხუმი“. იგი სულ 7 მან. და 80 კაპიკი ღირს.

„ლეჩხუმი“ ეცდება მომავალი წლიდან გახდეს თავისუფალი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. იგი შემოგთავაზებთ ახალ თემებს. ძველი თემების ახალ ასპექტებს, შეგახვედრებთ საინტერესო ადამიანებს, ცნობილ პიროვნებებს, ეცდება გა-დმოს ყველა ფენის, ასაკის, სოციალური წრის ადამიანთა საყვარელი გაზეთი. ბოლოს-დაბოლოს იგი იქნება შუამავალი თქვენსა და რაიონის საზოგადოებრიობას შორის. „ლეჩხუმის“ დახმარებით თქვენ შეგეძლებათ გამოაქვეყნოთ და გაეცნოთ საქმიან განცხადებებს, მიულოცოთ მეგობრებს, ახლობლებს ღირსშესანიშნავი თარიღები, ღმერთმა ყოველგვარ ჭირს გვარიდოს და უთანაგრძნოთ ადამიანებს უბედურების გამო.

მაშ, ასე თქვენს განკარგულებაში ერთი კვირაღა დარჩა. 1 ნოემბერს ხელმოწერის ვადა მთავრდება. გამოიწერეთ **გაზეთი „ლეჩხუმი“**—ნუ დატოვებთ ლეჩხუმს „ლეჩხუმის“ გარეშე.

დეპუტატობის კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამის თეზისები

საჭიროდ მიმაჩნია:

—ქართველი გლეხისთვის მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა;

—**საბაზრო ეკონომიკა გამოიწვევს ფასების მატებას. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია შეიქმნას** სოციალური გარანტიები, რათა მოსახლეობამ შეძლოს ხელმისაწვდომ ფასებში დაიკმაყოფილოს საარსებო მინიმუმი;

—**უნდა შეიქმნას** კანონი ბუნებათსარგებლობის შესახებ;

—სკკპ საკუთრება გადაეცეს ხალხს;

—შეიქმნას ეროვნული არმია;

საქართველოში დაცული უნდა იქნას ნებისმიერი ერისა და პიროვნების უფლებები.

დეპუტატობის კანდიდატის ჯ. ჩარკვიანის წინასაარჩევნო პროგრამის თეზისები

(დასასრული).

ვიზიარებ რა საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის წინასაარჩევნო პლატფორმას, ჩემი მიზანია ხელი შევუწყო 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სტატუსის აღდგენას.

ყოველმხრივ დავუჭერ მხარს, რათა „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში" შეიქმნას საკუთარი არმიული შენაერთები არსებულ სამხედრო ბაზებზე.

უნდა მივიღოთ ახალი კონსტიტუცია, რომელიც დაეფუძნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმებს და იქნება გარანტი საქართველოს სრული დამოუკიდებლობის, ეროვნების, პოლიტიკურ და რელიგიურ შეხედულებათა მიუხედავად რესპუბლიკის ყველა მოქალაქის თანასწორობისა და თავისუფლებისა.

კერძო საკუთრებას აუცილებლად ზურგი უნდა გაუმაგროს სამეურნეო-ფინანსურმა დამოუკიდებლობამ. მიწის პატრონი უნდა იყოს გლეხი, ოღონდ არა მხოლოდ სიტყვით, არამედ ჭეშმარიტად.

სამეურნეო-ფინანსური დამოუკიდებლობით უფრო შესაძლებლად მივიჩნევ ვმართოთ დემოგრაფიული პროცესები.

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა" უნდა გახდეს „გაერთიანებული ერების" სრულუფლებიანი წევრი.

მხარს დავუჭერ თანამეგობრობის იდეას, რათა მომავალი „კავკასიური სახლი" მყარად იდგეს ჩვენს სიძლიერეზე.

მომხრე ვარ რესპუბლიკაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხების წარმომადგენელთა თანასწორუფლებიანობისა.

უნდა მოხდეს დეიდეოლოგიზაცია სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, მწერლობის, ხელოვნებისა და მეცნიერების სფეროში.

საქართველოში მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას უნდა გავაგებინოთ, რომ ჩვენი ურთიერთობა და სიყვარული ჩვენს ერთადყოფნაშია. თუ საქართველო განთავისუფლდება, ისინიც თავისუფლების შვილები იქნებიან.

უნდა ვიბრძოლოთ ქართული ენის სიწმინდისათვის.

ბევრი სიკეთე დაწყებულა ლეჩხუმიდან. ამჯერადაც ლეჩხუმიდან შევუწყოთ ხელი საქართველოს თავისუფლებას.

თანამემამულენო, უჭირს საქართველოს, ხოლო ძველ ალთქმაში სწერია: „თუ გაჭირვების დროს დაუძლურდი, მცირე ყოფილა შენი ძალა"...

დიდი ძალა აქვს საქართველოს, ჩვენი ძალა, ჩვენს ერთობაშია, ჩვენი ძალა ჩვენს თანხმობაშია!

მოწინავეთა მხარდამხარ

ალპანის სამკერვალო საწარმოს მრავალი მოწინავე მკერავი ჰყავს, მათ შორისაა როზა ქლიბაძე. იგი თანამოსაქმეთა შორის კარგი ავტორიტეტით სარგებლობს, გამოირჩევა მონდომებული შრომით, მაღალი პასუხისმგებლობით. ამიტომაა, რომ საწარმოს ხელმძღვანელობა, კოლეგები, როზა ქლიბაძეს მოწინავეთა რიგებში ასახელებენ.

ისევე როგორც საწარმოს ყველა მუშაკის, როზას სურვილია მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია მუდამ ხარისხიანი იყოს, რაც იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა სხვადასხვა ოპერაციაზე დასაქმებული მკერავები ხარისხიანად შეასრულებენ თავის საქმეს.

როზა წარმატებით ასრულებს მიცემულ [illegible], მაგრამ ეს [illegible], ადამიანს უნდა ამოძრავებდეს სიკეთე, უყვარდეს და პატივს სცემდეს გვერდით მყოფ ადამიანებს. თანამოსაქმეებსაც უყვართ ეს ახალგაზრდა მკერავი და კარგი ურთიერთობაც აქვთ მასთან.

როზა მისი მშობლიური საწარმოს და მისი ადამიანების ყოველდღიური ცხოვრებით ცხოვრობს. მხარში უდგას შრომით კოლექტივს და იზიარებს მათ მიღწევებს თუ ჩამორჩენით გამოწვეულ შედეგებს, ცდილობს მის საქმიანობას წუნი არავინ დასდოს, იყოს თავისი საქმის ერთგული. თუკი პროდუქციას დროულად მიაწოდებენ საწარმოს, როზას და მის თანამოსაქმეებს სხვა ხელისშემშლელი არაფერი აქვთ.

სურათზე: ალპანის სამკერვალო საწარმოს მოწინავე მკერავი როზა ქლიბაძე მუშაობის დროს.
ზ. გზოგავას ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ გვიან არ არის...

ჩვენ გვწერენ

ცხენის წყალზე ხიდის უქონლობის გამო დაახლოებით ათი სოფლის მცხოვრებლები რაიონში რომ გამოსულიყვნენ, ფეხით უნდა გაევლოთ სამი სოფელი: დეხვირი, ლასხანა, ჩხუტელი და ამის შემდეგ დაღლილ-დაქანცულები ძლივს მიაღწევდნენ ცაგერში. რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების ინიციატივით და დახმარებით ცხენის წყალზე გაიდო ლასურიაში-ცაგერის შემაერთებელი რკინა-კონსტრუქციების ხიდი. ეს რა თქმა უნდა დიდი შეღავათი იყო ხალხისთვის, 8 წლის განმავლობაში ხიდი ასე თუ ისე ასრულებდა თავის ფუნქციას. ახლა ხიდის ორივე თავი ისეა დაზიანებული, რომ ავტომანქანები გაჭირვებით დადიან მასზე, რაც გარკვეული თვალსაზრისით რისკთან არის დაკავშირებული. ხიდი სასწრაფო შეკეთებას საჭიროებს, მაგრამ თავს არავინ იწუხებს ამ პრობლემის მოგვარებით, არადა შეიძლება ტრაგედია დატრიალდეს, რასაც უცილობლად გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვება.

პატივცემულო რედაქცია, ათი სოფლის სახელით, გთხოვთ მიაწვდინოთ ხმა მათ, ვისაც ევალება ამ საქმის მოგვარება, რომ მიხედონ ხიდს, სანამ უბედურება მოხდებოდეს.

ვალერიან ჯამბურიძე,
შრომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანი.
სოფ. მახაში.

პირველი მრავალპარტიული არჩევნების წინ

ხმის მიცემის წესი

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები შევიდა გადამწყვეტ ფაზაში. უკვე დაიწყო და მიმდინარეობს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №79 საარჩევნო ოლქის დეპუტატობის კანდიდატთა ბიოგრაფიებისა და პლატფორმის თეზისების პროპაგანდა რაიონული გაზეთისა და ადგილობრივ რადიო გადაცემებში, დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრები ამომრჩევლებთან..

ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს ამომრჩეველთა ინფორმირებას საარჩევნო ბიულეტენებსა და ხმის მიცემის წესში.

მზადდება ორი სხვადასხვა ფერის საარჩევნო ბიულეტენი. ერთში შეაქვთ პარტიათა და საარჩევნო ბლოკთა დასახელება მათ მიერ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პარტიული სიების წარდგენის რიგის მიხედვით. პარტიის (საარჩევნო ბლოკის) კანდიდატთა სიის მოხსნის შემთხვევაში კანდიდატთა სხვა სიების რიგითი ნომრები, რომლებიც მათ მიიღეს სიების რეგისტრაციის დროს, უცვლელი რჩება. საარჩევნო ბლოკის დასახელებასთან, ერთად ჩამოთვლილია ამ ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა დასახელებები. მეორე ბიულეტენში შეტანილი იქნება დეპუტატობის კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო ადგილი, პარტიულობა, პარტიის (საარჩევნო ბლოკის) დასახელება, რომელმაც წარადგინა დეპუტატობის კანდიდატი იმ თანმიმდევრობით, რომლითაც მოხდა მისი წარდგენა საარჩევნო კომისიაში.

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების დროს ხმის მიცემა ეწყობა არჩევნების დღეს 7 საათიდან 20 საათამდე. საუბნო საარჩევნო კომისია ხმის მიცემის დროსა და ადგილს ამომრჩევლებს აცნობებს არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

ხმის მიცემის დროს დაუშვებელია ხმის მისაცემი შენობის ჩაკეტვა და ხმის მიცემის შეწყვეტა.

საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, ძნელად მისადგომ ადგილებში შექმნილ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია ხმის მიცემა დამთავრებულად გამოაცხადოს ნებისმიერ დროს, თუ ხმა მისცა სიაში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა.

ხმის მიცემა ეწყობა სპეციალურად გამოყოფილ ისეთ შენობებში, რომლებიც არ არის მხოლოდ ერთი პარტიის სარგებლობაში, ამ შენობაში უნდა იყოს ფარული კენჭისყრისათვის მოწყობილი საკმაო რაოდენობით კაბინები ან ოთახები, განისაზღვროს საარჩევნო ბიულეტენების გაცემის ადგილები და დაიდგას საარჩევნო ყუთები.

საარჩევნო ყუთები ისეთნაირად იდგმება, რომ ხმის მიმცემნი მათთან მისვლისას აუცილებლად გაიარონ ფარული კენჭისყრის კაბინებს ან ოთახებს. ხმის მისაცემ კაბინებში უნდა იყოს კალმისტრები. ხმის მისაცემ შენობებსა და ოთახებში გამოკრული უნდა იყოს პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების კანდიდატთა და შესაბამის საარჩევნო ოლქში პერსონალურად წარდგენილ კანდიდატთა სიები.

პასუხისმგებლობა ხმის მიცემის ორგანიზაციისათვის, ამომრჩეველთა ნების გამოვლინების საიდუმლოების უზრუნველყოფისათვის, შენობების მოწყობისა და იქ საჭირო წესრიგის დაცვისათვის ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიას.

არჩევნების დღეს ხმის მიცემის დაწყებამდე საარჩევნო ყუთებს ამოწმებს და პლომბავს ან ლუქავს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების თანდასწრებით, რის შემდეგაც ყუთებში უშვებენ საკონტროლო ფურცელს რომელსაც ხელს უნდა აწერდნენ კომისიის წევრები და ხმის მისაცემად მისული პირველი ამომრჩევლები.

თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად, სხვა პირთა მაგივრად ხმის მიცემა დაუშვებელია. საარჩევნო ბიულეტენებს გასცემს საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა სიის ან ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთისა და ამომრჩევლის ბარათის წარდგენისას. საარჩევნო ბიულეტენის მიღებას ამომრჩეველი ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით.

მოქალაქენი, რომლებიც შეცდომით ვერ მოხვდნენ ამომრჩეველთა სიაში, პირადობისა და საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე შეჰყავთ ამომრჩეველთა დამატებით სიაში.

საარჩევნო ბიულეტენებს ამომრჩეველი ავსებს ფარული კენჭისყრის კაბინაში. ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია ვინმეს დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი, უფლება აქვს კაბინაში სხვა პირი მოიწვიოს თავისი შეხედულებისამებრ, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, ნდობით აღჭურვილი პირისა და დეპუტატობის კანდიდატის (პარტიის, საარჩევნო ბლოკის) წარმომადგენლისა.

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების დროს ამომრჩეველი ერთ ბიულეტენში შემოხაზავს იმ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის ნომერს, რომელსაც აძლევს ხმას, ხოლო მეორეში იმ დეპუტატობის კანდიდატის ნომერს, რომელსაც აძლევს ხმას.

შევსებულ ბიულეტენებს ამომრჩეველი უშვებს საარჩევნო ყუთში.

ხმის მისაცემი შენობა იკეტება 20 საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე მეორე კვირაა საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით ცაგერში იმყოფება საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, ცნობილი მეცნიერ-პედიატრი თამაზ პიმენის ძე ყურაშვილი. ჩვენი კორესპონდენტი სულ რამდენიმე წუთით შეხვდა და ესაუბრა მას.

—ბატონო თამაზ, ჩვენი გაზეთის მკითხველებს თქვენ პირველად 1983 წლის 8 სექტემბერს შეხვდით. კორესპონდენციაში „შეხვედრა მეცნიერთან მომავალ ინტერვიუმდე“ ავტორი ნაირა ცხვედიანი წერდა, რომ ინტერვიუ შედგებოდა თქვენს მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ. მართალია, დაცვა ჯერ არ შემდგარა, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა შევთანხმდეთ, რომ ეს იქნება ინტერვიუ არა დეპუტატობის კანდიდატთან, არამედ ექიმ-მეცნიერთან...

იქნებ მოკლედ გვიამბოთ პედიატრიის ინსტიტუტის ინფექციური განყოფილების საქმიანობის შესახებ, რომელსაც თქვენ განაგებთ?

—ბატონო თამაზ, ჩვენი გაზეთის მკითხველებს თქვენ პირველად 1983 წლის 8 სექტემბერს შეხვდით. კორესპონდენციაში „შეხვედრა მეცნიერთან მომავალ ინტერვიუმდე“ ავტორი ნაირა ცხვედიანი წერდა, რომ ინტერვიუ შედგებოდა თქვენს მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ. მართალია, დაცვა ჯერ არ შემდგარა, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა შევთანხმდეთ, რომ ეს იქნება ინტერვიუ არა დეპუტატობის კანდიდატთან, არამედ ექიმ-მეცნიერთან...

იქნებ მოკლედ გვიამბოთ პედიატრიის ინსტიტუტის ინფექციური განყოფილების საქმიანობის შესახებ, რომელსაც თქვენ განაგებთ?

—ბატონო თამაზ, ჩვენი გაზეთის მკითხველებს თქვენ პირველად 1983 წლის 8 სექტემბერს შეხვდით. კორესპონდენციაში „შეხვედრა მეცნიერთან მომავალ ინტერვიუმდე“ ავტორი ნაირა ცხვედიანი წერდა, რომ ინტერვიუ შედგებოდა თქვენს მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ. მართალია, დაცვა ჯერ არ შემდგარა, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა შევთანხმდეთ, რომ ეს იქნება ინტერვიუ არა დეპუტატობის კანდიდატთან, არამედ ექიმ-მეცნიერთან...

იქნებ მოკლედ გვიამბოთ პედიატრიის ინსტიტუტის ინფექციური განყოფილების საქმიანობის შესახებ, რომელსაც თქვენ განაგებთ?

შვილმა თავად უნდა იპოვოს ადგილი თვისი

ინტერვიუ დეპუტატობის კანდიდატთან

—თავიდანვე ჩვენს წინაშე დაისვა საკითხი, რა მიმართულებით წავსულიყავით: შეგვექმნა ბავშვთა ინფექციების ინსტიტუტის მსგავსი „მოდელი“, რომლის საქმიანობაც მრავალპლანიანობით განისაზღვრებოდა, თუ მოგვეხდინა ძალთა კონცენტრირება ადგილობრივი ხასიათის, კერძოდ, ბავშვთა ინფექციური პათოლოგიის აქტუალური საკითხების გადასაწყვეტად.

დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ განყოფილებამ სწორი გზა აირჩია. იგი შეუდგა განსაზღვრული რიცხვის აქტუალური პრობლემების, მათ შორის ადრეული ასაკის ბავშვთა რესპირატორული და ნაწლავთა ინფექციების შესწავლასა და დამუშავებას. თემათა თავისებური თავმოყრა განპირობებული იყო როგორც რესპუბლიკის პრაქტიკული ინტერესებით, ისე განყოფილების შესაძლებლობითა და სამეცნიერო კადრების პირადი ინტერესებით.

თანამედროვე ეტაპზე ბავშვთა ინფექციური პათოლოგიების შესწავლა მიმდინარეობს პრობლემის კომპლექსური კვლევით. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წყალობით მნიშვნელოვნად გაიზარდა კვლევის მეთოდოლოგიური დონე, გაფართოვდა ფუნქციონალური დიაგნოსტიკის შესაძლებლობანი.

ამჟამად მეცნიერების და პრაქტიკოსების განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ლაბორატორიაში ახალი აპარატურის შექმნა-გამოყენებას, მექანიზაციის საშუალებების, მაღალმგრძნობიარე უნიფიცირებული სამუშაო პროცესების ავტომატიზაციის, კვლევის ექსპრეს მეთოდების დანერგვას. მიმდინარეობს ბავშვთა (განსაკუთრებით ადრეული ასაკის) რესპირატორული და ნაწლავთა ინფექციების ერთდროული მიმდინარეობის შემთხვევებში უფრო ეფექტური თერაპიული საშუალებების ძიება.

შემდგომში განყოფილება ვარაუდობს დაამუშაოს ადრეული ასაკის ბავშვებში მწვავე ნაწლავთა და რესპირატორული ინფექციების და აგრეთვე ალერგიული დიარეის (პედიატრიის ინსტიტუტის ძირითადი პრობლემა ხომ ალერგიის პრობლემა გახლავთ) სიმპტომატოლოგიის თავისებურებანი, მიმდინარეობისა და კლინიკური ბიოქიმიის ზოგიერთი აქტუალური საკითხი.

—ბატონო თამაზ, ექიმები სულ უფრო უჩივიან დროის სიმცირეს... მკურნალობისთვის. წერას მეტი დრო მიაქვს, ვიდრე...

—გეთანხმებით. საერთოდ, ძალზე მწვავედ დგას მონაცემების შეკრებისა და დამუშავების საშუალებების სტანდარტიზებისა და უნიფიცირების საკითხი. ინფორმაციის მასივების მუდმივი ზრდა აუცილებელს ხდის ფართოდ დაინერგოს პრაქტიკაში ელექტროხულ-გამომთვლელი ტექნიკა, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა ჯერჯერობით ძალზე არათანმიმდევრულია.

მიზანშეწონილად მიმაჩნია საავადმყოფოებისა და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ადმინისტრაციებს მეტი უფლებები მიეცეთ დოკუმენტაციის შედგენისა და აღრიცხვა-ანგარიშის ახალი სისტემების დანერგვაში (იგულისხმება ელექტრონულ გამომთვლელი ტექნიკა). სხვანაირად ძნელია სამედიცინო დახმარების სწორი ორგანიზაცია.

ამგვარად, მნიშვნელოვანი ამოცანაა მთელი სამედიცინო-სამეცნიერო ინფორმაციული სისტემის ავტომატიზაციაზე გადასვლა, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი ტექნიკა, სპეციალისტები (რესპუბლიკას ისინი ჰყავს) და კვლევა ამ მიმართულებით. ერთი პირობა კი აუცილებლად უნდა დავიცვათ: პირვანდელი ინფორმაცია უეჭველი უნდა იყოს, რაც სპეციალისტისაგან კეთილსინდისიერებას, გულისხმიერებას და დისციპლინას მოითხოვს.

მართვის ავტომატიზებული სისტემა საშუალებას მოგვცემს დავსახოთ თვისობრივად ახალი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა ადრე შეუძლებელი იყო მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების შრომატევადობის გამო. მხედველობაში მაქვს პროგნოზირება.

—რა მიგაჩნიათ ყველაზე დიდ სირთულედ პრაქტიკაში მართვის ავტომატიზირებული სისტემების დანერგვის გზაზე?

—ალბათ, ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა. მუშაობის ძველ მეთოდებს ჯერ კიდევ ჰყავს მიმდევრები. მაგრამ, ბოლო ხანებში, უნდა ითქვას, ექიმებს შორის მრავალი მომხრე გაგვიჩნდა.

მნიშვნელოვანია აგრეთვე კადრების მომზადების პრობლემა. სამედიცინო სასწავლებლებში ჯერ კიდევ არ არის შესაბამისი განყოფილება, არადა, მომავლის მედიკოსებს უნდა ჰქონდეთ თანამედროვე სამედიცინო აპარატურასთან და მანქანა-ორიენტირებულ დოკუმენტაციასთან ურთიერთობისა და მუშაობის ჩვევები. თუმცა ჩვენს მოვალეობაში არ შედის, განყოფილებას მცირე წვლილი მაინც შეაქვს სტუდენტებისათვის კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და მიღებული ინფორმაციის დამუშავების გაცნობასა და შესწავლაში.

—ყველაფერი ეს, ალბათ, მხოლოდ ზოგიერთი ასპექტია იმ პრობლემებისა, რაზეც მუშაობს თქვენი განყოფილების კოლექტივი.

—ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. ბევრი რამ ჯერ კიდევ თეორიული გააზრების, ძიების სტადიასა და კლინიკაში გამოყენების პირველ ეტაპზეა. შემდგომში საჭიროა სამუშაოთა კოორდინირება და იმ კოლექტივების გამოცდილების განზოგადება, რომლებიც აღნიშნული პრობლემებით არიან დაკავებული.

ჩვენ გავაგრძელებთ კვლევას როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული მიზნით. პრაქტიკოსი ექიმების მიერ მეცნიერულ კვლევებში მონაწილეობა ეფექტიანი მკურნალობის ერთ-ერთი პირობაა. ექიმი, რომელსაც ჩვენად გადაქცევია ძიება, კლინიკური დაკვირვებების შეპირისპირება-გაანალიზება, ხარისხობრივად ყოველთვის უკეთეს შედეგს მიაღწევს.

—ბატონო თამაზ, საინტერესოა, როგორ ეხამება თქვენს პროფესიას თქვენივე პიროვნული თვისებები.

—როგორ გითხრათ, აი, გულახდილობა საქმეში მშველის. მაგრამ, ვგრძნობ, რომ წლებთან ერთად უფრო მკაცრი ვხდები. დიახ, დიახ, მკაცრი როცა ეს საქმეს ეხება, მოვითხოვ მეტს და მეტს საკუთარი თავისა და სხვებისგანაც. ვერ ვიტან უსაქმურ ადამიანებს, მათ, ვისაც ადვილად სურთ ფონს გასვლა, ხელს უშლიან საქმეს.

დიდ სიხარულს მანიჭებს მუშაობის დროს ადამიანებთან ურთიერთობა, როცა ვგრძნობ, რომ მიგებენ, ვგრძნობ, რომ გვერდით მეგობარია, ასეთ დროს მთელი შთაგონებით, სრული დატვირთვით ვმუშაობ.

კონფლიქტური არა ვარ, თუმცა არც მეშინია კონფლიქტებისა, თუკი ეს საქმეს სჭირდება.

—რა თვისება უნდა ახასიათებდეს მეცნიერს?

—ენთუზიაზმი და საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, შემოქმედებითი წვა, რომელიც გაიძულებს ეძიო, თავი იმტვრიო, მოსინჯო და ხელები უმწეოდ არ გაშალო.

—ბატონო თამაზ, თქვენ ბრძანდებოდით სრულიად საქართველოს ექიმთა ასოციაციის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და სულისჩამდგმელი. ამან ბევრი დრო წაგართვათ. პრაქტიკულად ახლაც ველარ იცლით სადოქტორო დისერტაციის დაცვისთვის...

—ბედმა ასეთი მისია მარგუნა, იმ წმინდა ტაძრის მშენებლობაზე, რომელსაც ქართველი ერი უკვე არაერთი საუკუნეა შენატრის, მე თუ ერთი აგურის მიტანა მაინც შემიძლია, მაშინ ბედნიერი ვარ.

რაც შეეხება სადოქტორო დისერტაციას, იგი მზადაა და ვიმედოვნებ, დავიცავ არა უცხო ქვეყანაში (მოსკოვი), არამედ ჩემს სამშობლოში და თავისუფალი საქართველოს ახლადშექმნილი უმაღლესი საატესტაციო კომისია დაამტკიცებს მას.

—თურმე, მიუხედავად მშობლების პროფესიისა, ექიმობა თქვენი ბავშვობის „ოქროს ოცნება“ არ ყოფილა.

—იცით, სკოლის წლებში გატაცებული ვიყავი ქორეოგრაფიით, ვსწავლობდი კიდეც თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში და არცთუ წარუმატებლად, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდნენ მაშინ ჩემი პედაგოგები, ამ საქმის დიდი და დამსახურებული ოსტატები. ამავე დროს არქიტექტურაც მაინტერესებდა და ვფიქრობდი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შესაბამის ფაკულტეტზე ჩაბარებას.

ერთხელ მამაჩემმა მითხრა, რა ვუყოთ ამ მდიდარ ბიბლიოთეკას, იქნებ სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკისთვის ჩაგებარებინა, შენ ხომ იგი არ დაგჭირდება?— და დამავალა ამის გაკეთება. დავფიქრდი და გადავწყვიტე, ამდენი წიგნის სადღაც წაღებას და წელის მოწყვეტას, ისევ მათი წაკითხვა ჯობდა, ჰოდა, სამედიცინო ლიტერატურას თუ წავიკითხავდი, იქ ქორეოგრაფია ან არქიტექტურა რაღა მოსატანია?

—ასე იპოვეთ, როგორც ამბობენ, თქვენი ადგილი ცხოვრებაში...

—თუ „ჩემი“ ადგილი“ ნიშნავს იმას, რომ ვემსახურები ჩემთვის ძვირფას საქმეს,—დიახ. თუმცა ვინ იცის, შეიძლება ცხოვრების ბოლოს გაგიტყდეს გული იმაზე, რისთვისაც მთელი ცხოვრება შეგილევია. მე ბედმა მარგუნა ვიყო იქ, სადაც დედაჩემისა და მამაჩემის სიცოცხლემ გაიარა. პედიატრიას ეკუთვნოდნენ ჩემთვის ძვირფასი ადამიანები, მათი გატაცებები, ოცნებები და ყოველდღიური საქმიანობა.

—თქვენი მშობლები ცნობილი ექიმები იყვნენ. მამა—პიმენ ყურაშვილი მეცნიერი, პედიატრიის ინსტიტუტის ფუძემდებელი და პირველი დირექტორი, დედა—პედიატრი, დღენაკლულ ბავშვთა რესპუბლიკური სტაციონარის გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, ხომ არ გამძიმებთ მშობლების ეს სახელოვნება?

—ვფიქრობ, რომ შვილმა თვითონ უნდა გაიდგას ფესვები, მშობლების დამსახურება, მათი ღირსება შვილისთვის არ უხდა იყოს კაპიტალი, რომლითაც შეიძლება იცხოვრო, მოიპოვო კეთილდღეობა და პრივილეგია. .რაც უფრო ძლიერ ანათებს მშობლის დამსახურება საზოგადოების წინაშე, მით უფრო აუცილებელია შვილისთვის საკუთარი სხივი. ამ სხივის ანთება მშობლებს შეუძლიათ, შეუძლიათ აგანთონ ერის მაღალი იდეალებისადმი ერთგულების ცეცხლით, ამ იდეალებისადმი დაუღალავი სამსახურით.

შვილმა თვითონ უნდა მოიპოვოს თავისი ადგილი, უნდა მოიპოვოს თავისი ღირსება.

მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა

პატივისცემა გვმართებს

მრავალშვილიანობის პროპაგანდა არც არასოდეს იყო მეორეხარისხოვანი და მით უფრო დღეს, კაკალ-კაკალ რომ ვემატებით ერთმანეთს. მაგრამ მხოლოდ პროპაგანდა არ შველის საქმეს, უნდა შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ ასეთ ოჯახებს. დღეს, როცა დალხინებული ცხოვრება თითქმის არავის აქვს, წარმოვიდგინოთ რამდენი გასაჭირი ექნება მრავალი შვილის დედ-მამას, სხვისი ჭირის გაზიარების უნარი თუ დავკარგეთ და გავგულქვავდით, დავლუპულვართ და ისაა.

ისიც ერთ-ერთი პატივსაცემი ქართველი ქალიჰ, 50 წლისა, შუახნის ქალი, მაგრამ უკვე დაღლილი, 5 შვილი მარტო კი არ გაზარდა, აღზარდა ალალი ლუკმით. მისი შვილები შიმშილით რომ დახოცილიყვნენ, სხვის ეზოში ხილსაც არ შეადგამდნენ თვალს.

არავინ არასოდეს არ შეუწუხებია შვილების გამო, არც წუწუნი დასცდენია, არც არავისთვის არაფერი უთხოვია.

ღვირიშელია იგი, მედიკო გიორგობიანი. მამა დიდ სამამულო ომში დაეღუპა და დედისერთა, მამით ობოლი პატიოსნად აღზარდა დედამ მარო ქობულაძემ. მარტოკაცი ქამაშიაც ბრალიაო, ყვება მედიკო, ყოველთვის კეთილად მშურდა შვილმრავალი ოჯახების, მე მარტო ვიზრდებოდი, მეზობლებში კი წყვილ-წყვილი გოგო-ბიჭები ერთ ჯამში რომ მადიანად ილუკმებოდნენ, ღამე იატაკზე საერთო დიდ ლოგინში თევზებივით რომ ჩამწკრივდებოდნენ, ამაზე უკეთესი „კომფორტი“ ვერ წარმომედგინა.

მერე რომ წამოვიზარდე და მთელი სიგრძე-სიგანით გავიცნობიერე მარტოობა, ერთ-ორ შვილზე გაჩერება დანაშაულად ჩავთვალე, დედაჩემიც გვერდში ამომიდგა. და ნინოს მარინე მოჰყვა, მარინეს—რიმა, რიმას-ნატო და ბოლოს ნანატრი დათო-ბიჭი.

დათო ახლა ჯარშია და დედა და ბებია ერთმანეთს აიმედებენ—მალე დაგვიბრუნდებაო ვაჟკაცი. გოგონებმა სპეციალობა მიიღეს, უფროსი ქალიშვილი დაოჯახდა, ნატო ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაერიცხა.

ცოტა კი ამოისუნთქა, მაგრამ დედის გულს რა დაასვენებს. ეზო-გარემოსაც ხომ შვილივით სჭირდება მოვლა. ასეც არ იყოს, 5 შვილსა და მის მტერ-მოყვარეს რამდენი უნდა, მე შენ გეტყვი და დაგჭირდება და იშოვი რასმე. ისევ საკუთარი კედელ-ყურისა და მიწის იმედითაა 5 შვილის დედ-მამა.

ბევრი მაინც გვყავდნენ ასეთი მრავალშვილიანი ოჯახები, ასე უხმაუროდ, უპრეტენზიოდ ყველაზე დიდ ეროვნულ ტვირთს რომ ეზიდებიან, ჩვენდა სამწუხაროდ, ცოტანი არიან და იმათაც ჩვენი სითბო და გულისყური აკლია.

მ. გურული.

შეამჩნიეს მფრინავი თეფშები

სოფია. „მფრინავი თეფშების“ ჯგუფი შეამჩნია სოფელ კამენეცის თავზე სამხედრო მოსამსახურე ემილ ათანასოვმა, როგორც ბულგარეთის რადიო იუწყება. გამოუცნობი მფრინავი ობიექტები ჰორიზონტზე გამოჩნდნენ დაახლოებით 21.00 საათზე. მათ მრგვალი ფორმა ჰქონდათ და ანათებდნენ. მხილველის თქმით დისკოებს ზედა მხარე უფრო მუქი ჰქონდათ, ვიდრე ქვედა.

ათანასოვი ხეზე ავიდა და იქიდან მთელი ნახევარი საათი აკვირდებოდა საოცარ მოვლენას. უეცრად მან შეამჩნია, რომ მის გარშემო ჩამოიღვარა კაშკაშა მოწითალო-ნარინჯისფერი სხივები. მან თავი ასწია და მკვეთრი სინათლის შუქზე შეამჩნია ოთხი მუქი წერტილი, რომლებიც მის თავზე უძრავად იყვნენ გაჩერებული. მიხვდა რა, რომ მისი ცნობისმოყვარეობა საშიში გახდა, სამხედრო მოსამსახურე შეეცადა ხიდან ჩამოსულიყო, მაგრამ ვერ შეძლო, ამ დროს ცნობიერებაც დაკარგა. როცა გონს მოვიდა ის უკვე მიწაზე იწვა, თავს ნორმალურად გრძნობდა, გარდა მხედველობისა: თითქოს თვალწინ თხელი საბურველი ეფინა. ჰორიზონტზე კი კვლავ „ეკიდა“ მანათობელი მფრინავი უცხო ობიექტები.

დავით გერასიმეს ძე ყურაშვილი

გარდაიცვალა პარტიისა და შრომის ვეტერანი, შესანიშნავი პიროვნება, გამოცდილი სამეურნეო მუშაკი და ორგანიზატორი დავით გერასიმეს ძე ყურაშვილი.

დაიბადა 1914 წელს ლეჩხუმის მაზრის სოფელ ცაგერში.

სწავლობდა თბილისის ინდუსტრიულ ინსტიტუტში.

დ. ყურაშვილმა შრომითი საქმიანობა დაიწყო 1935 წელს. მუშაობდა საქართველოს კომკავშირის ცაგერის რაიკომის ინსტრუქტორად, საალრიცხვო განყოფილების გამგედ, რაიონული ბიბლიოთეკის გამგედ, ცაგერის კულტსახლის კულტმუშაკად, რაიონული გაზეთის ინსტრუქტორ-ლიტმუშაკად, გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ მბეჭდავად, რაიონული გაზეთის „ბოლშევიკური ტემპით“ სტამბის ამწყობად, მბეჭდავად, გამგედ, ადგილობრივი რადიოგადაცემის რედაქტორ-ორგანიზატორად.

დ. ყურაშვილი 20 წელი ხელმძღვანელობდა ცაგერის რაიონულ სტამბას, თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული, გამოცდილი პოლიგრაფისტი სტამბიდან წასვლის შემდეგაც ყოველდღიური სტუმარი იყო მშობლიური კოლექტივის, ყოფილ კოლეგებს რჩევას აძლევდა, მათი სიხარულითა და სატკივარით ცხოვრობდა, იყო თავდადებული გულშემატკივარი მშობლიური რაიონული გაზეთის.

დავით ყურაშვილი 1963-დან 1981 წლამდე ხელმძღვანელობდა ცაგერის სამეურნეობათშორისო მეფრინველეობის ფაბრიკას. ფაბრიკა რაიონში კვერცხის, ფრინველისა და ღორის ხორცის ერთადერთ და რენტაბელურ მწარმოებლად ითვლებოდა. საქმის მცოდნე, გამოცდილი, პრინციპული ხელმძღვანელის წყალობით ხელით შრომისა და სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პირობებში ფაბრიკა ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა, გამარჯვებული გამოდიოდა სოციალისტურ შეჯიბრებაში.

დ. ყურაშვილი წლების მანძილზე იყო საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის წევრი, რაიონული საბჭოს დეპუტატი.

1981 წლიდან დავით ყურაშვილი პენსიაზე გავიდა, მაგრამ შრომითი საქმიანობა არ შეუწყვეტია — იყო „საქსოფლტექნიკის“ საწარმოო გაერთიანების სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი, ცაგერის №91 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სასწავლო მეურნეობის გამგე.

რაიონის აქტივში, საზოგადოებრიობაში დავით ყურაშვილს იცნობდნენ როგორც სპეტაკ, უანგარო, გულისხმიერ პიროვნებას, ამიტომ სარგებლობდა დამსახურებული სიყვარულით.

ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები—დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის ორდენით“, მედლებით.

წავიდა ჩვენგან ნაღდი პიროვნება, კარგი ხელმძღვანელი, კარგი მეგობარი და მამა. მას წრფელი ცრემლით დაიტირებს ლეჩხუმის საზოგადოებრიობა.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომი იუწყება, რომ გარდაიცვალა

დავით გერასიმეს ძე ყურაშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ძვირფასო რედაქციავ!

ნება მოგვეცით თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადოთ ყველას, ვინც თანაგრძნობა გამოგვიცხადა ჩვენი დიდი მწუხარების გამო.

გივი ალექსის ძე გურჯალიანის ოჯახი.

გილოცავთ

გილოცავთ ახლადდაქორწინებულებს!

ლელა ჯემალის ასულ ჭაბუკიანს
შერმადინ გური ის ძე ონიანს

გილოცავთ ბედნიერებას, სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახის თანამგზავრი მარადჟამს.

მამუკა და მამია ბენიძეები.

გილოცავთ

გია გულვერის ძე სალინაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიმხნევეს. ღიმილი და სიხარული არ მოგაკლოთ ღმერთმა!

ნატო, მაკა ბენდელიანები, მარიკა ხვადაგიანი.

შამშე, ნანი ხეცურიანებს
ჯაბული ასათიანს
მარიამ, გალაქტიონ ჭაბუკიანებს
ასმათ ალავიძეს
ნინო ლაკვეხელიანს

გილოცავთ შვილების ჩარიცხვას უმაღლეს სასწავლებელში.

ლასურიაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

ელეონორა (ნანი) ხუციძეს
დათო კაჭკაჭაშვილს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. ღმერთმა გაგამრავლოთ!

საირმის არასრული საშუალო სკოლის კოლექტივი.

ძმა ცილა, მამა ომარი, ძმები რამაზი, გია, კობა, დები ირმა, ფატი, ირინე, რძალი ინგა ჯეჯეია, ძმისშვილები თამრიკო, თეა, თენგო, დეიდა ლამარა ლეთოდიანი, ბიძა ჯემალ კუპატაძე, ბიცოლა ნანული გუგავა, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ინგა ომარის ასული ჟარულაევი
დაკრძალვა 25 ოქტომბერს, ხუთშაბათს, ქ. ცაგერში.

ცაგერის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივი თანაუგრძნობს ნათელა ყურაშვილს ბიძის

დავით ყურაშვილის

გარდაცვალების გამო.

როსტომ მუშკუდიანი ოჯახით იუწყება

დავით ყურაშვილის

გარდაცვალებას.

დავით ცვარიანი ოჯახით იუწყება

დავით ყურაშვილის

გარდაცვალებას.

შოთა ხეცურიანი, რეზო კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
დავით გერასიმეს ძე ყურაშვილი.

ლენა, გოგუცა ყურაშვილები, გელა მამარდაშვილი, ტარიელ დავითულიანი, მერაბ მურცხვალაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ყურაშვილი

დარიკო, მარო ქიქინაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ყურაშვილი.

მეუღლე გუგული, შვილები სოსო, ლუიზა, სიძედრი გალინე ჩაკვეტაძე, ძმები ნუშარი, ნაპოლეონი, დები კლავდია, თინა, ეთერი, რძლები მალვინა სილაგაძე, ნანული სალინაძე, ციალა, ნათელა კოპალიანები, სიძეები გიორგი შათირიშვილი, ზაურ გუგავა, დემურ შალამბერიძე, შვილიშვილები ვერიკო, დათო, თამუნა, მარიკა, ცოლისძმები დადაში, ზურაბ ჩაკვეტაძეები, ძმისშვილები, დისშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დადაში ალექსანდრეს ძე ლეთოდიანი

დაკრძალვა 25 ოქტომბერს, ხუთშაბათს, ქ. ცაგერში.

სევერიონ, ტიტიკო, შოთა, სოსო კოპალიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დადაში ლეთოდიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გერონტი სილაგაძე, ტუღუ ხაბულიანი, ამირან ინიანი, კუსია ჩაკვეტაძე, ჯოკია შკუბულიანი თანაუგრძნობენ გენადი სილაგაძეს ბაბუის

დავით გერასიმეს ძე ყურაშვილის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის აგროსამრეწველო გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მელსი ყურაშვილს მამის

დავით გერასიმეს ძე ყურაშვილის

გარდაცვალების გამო.

და ქენია, ძმისშვილები იური, ჯუმბერი, ვინური, ნელი, რომანი, ლალი, ლიანა, დისშვილები გულიკო, ჯაბუ ყურაშვილები, რძლები ნაზიკო გოგილავა, დოდო ცერცვაძე, მარინე ნიკოლაიშვილი, ძმისშვილიშვილები ბადრი, მარინე, ნატო, ეკა, ციური იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნადეჟდა (ნადია) ლევანის ასული ალავიძე

დაკრძალვა 27 ოქტომბერს, შაბათს სოფ. ზედა საირმეში.

ცოლისძმები დადაში, ზურაბ ჩაკვეტაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დადაში ალექსანდრეს ძე ლეთოდიანი.

ცაგერის საშუალო სკოლის 1965 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ცეცილია ყურაშვილს მამის

დავით ყურაშვილის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის XI ა კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი ციცო კოპალიანი თანაუგრძნობენ მარიკა ყურაშვილს ბაბუის

დავით ყურაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომის აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ სოსო ლეთოდიანს მამის

დადაში ალექსანდრეს ძე ლეთოდიანის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—23-41 საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ტირაჟი 4483

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.